ქართული პოლიტიკური ელიტების მიერ წარმოებული ევროპეიზაციის დისკურსის კრიტიკული ანალიზი

სტუდენტი : ანი კიკრიაშვილი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციოლოგიის მაგისტრატურის საფეხურის მეორე კურსი

ლექტორი: მარიამ დალაქიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი კიკრიაშვილი, 2024

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება ქართული მმართველი პოლიტიკური ელიტის, ევროპეიზაციასთან დაკავშირებულ დისკურსებს. თემის ისტორიულ კონტექსტში, ევროპეიზაცია საქართველოს შემთხვევაში აქტუალური საკითხი ხდება მისი საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ. მას შემდეგ ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი პროცესი წარიმართა. სწორედ კვლევის მიზანია, ევროინტეგრაციის შესახებ მმართველი პოლიტიკური ელიტის დისკურსის კრიტიკული ანალიზი.

სოციალურ მეცნიერებებში კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA) წარმოადგენს აქტუალურ თეორიულ მიდგომას. ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურისა და თეორიების საშუალებით შესაძლებელი გახდა თემის კონცეპტუალიზაცია. მაგალითად: თოინ ვან დიკი, ანტონიო გრამში, მიშელ ფუკო, ვილფრედო პარეტო და ა.შ. წინამდებარე კვლევა განხორციელდა თვისებრიბი კვლევის მეთოდების, კერძოდ კი თოინ ვან დიკის, კრიტიკული დისკურსის ანალიზის გამოყენებით.

წინამდებარე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტის ევროპეიზაციის დისკურსის შინაარსები არის ცვალებადი. ეს ცვალებადობა მომდინარეობს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პროცესების კონტექსტის ცვლილებიდან. დისკურსის შინაარსების ცვლილება ხდება იდეოლოგიისა და მანიპულაციის, ეროვნული თვით განდიდების, პოლარიზაციისა და პოზიტიური თვითრეპეზენტაციის ტექნიკების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: დისკურსი, კრიტიკული დისკურსის ანალიზი, პოლიტიკური ელიტა, ევროინტეგრაცია.

Abstract

The present master's thesis will concern the discourses of the Georgian ruling political elite, related to Europeanization. In the historical context of the topic, Europeanization in the case of Georgia becomes pressing issue after its separation from the Soviet Union. Since then, a number of important processes related to European integration have been carried out. The purpose of the research is a critical analysis of the ruling political elite's discourse on European integration.

Critical discourse analysis (CDA) is a pressing issue topic in social sciences. Through the literature and theories presented in the paper, it became possible to conceptualize the topic. For example: Toin van Dyck, Antonio Gramsci, Michel Foucault, Vilfredo Pareto, etc. The present reserch has been conducted using qualitative research methods, in particular Toin van Dyck's critical discourse analysis.

The results of the present study have shown that the contents of the Europeanization discourse of the ruling political elite are variable and this variability comes from the change in the context of the processes related to European integration. The content of discourse is changed by using techniques of ideology and manipulation, national self-glorification, polarization and positive self-representation.

Key words: discourse, critical discourse analysis, political elite, European integration.